

თარგმანის III საერთაშორისო სკოლა

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA),
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის,
საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს,
ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის და
თიბისი ბანკის მხარდაჭერით,
2016 წლის 18-27 სექტემბერს

მართავს

თარგმანის III საერთაშორისო სკოლას,
სახელწოდებით

„ლინ კოფინის თარგმანის სკოლა“.

საბუთები მიიღება 2016 წლის 10 სექტემბრის 18.00 საათამდე.

მონაწილეობის მსურველებმა საკუთარი CV უნდა გამოგზავნონ
მისამართზე: crossculturaluniverse@gmail.com ან geclaorg@gmail.com.

სწავლების პროცესს წარუძღვება ცნობილი ამერიკელი მწერალი და
მთარგმნელი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გალექსილი თარგმანის
უცხოელი ავტორი,

ლინ კოფინი (https://en.wikipedia.org/wiki/Lyn_Coffin).

დაგეგმილია, რომ საუკეთესო თარგმანები აშშ-ში გამოქვეყნდეს.
ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. 10-დღიანი კურსი ფასიანია და
ღირებულება შეადგენს 50 ლარს.

სკოლა მიზნად ისახავს რიგით მესამე საერთაშორისო საზაფხულო სკოლის
ჩატარებას ქართული ლიტერატურის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით
და ემსახურება ადგილობრივი ლიტერატურული პროცესების
ინტერნაციონალიზაციას.

მთარგმნელობითი სკოლის გუნდის ორწლიანი (2012, 2014 წ.წ.)
თანამშრომლობის წარმატებიდან გამომდინარე, ისევ გაჩნდა მოთხოვნა,
რომ კვლავაც ჩატარდეს სეზონური სკოლა.